ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ორშაბათი, 3 დეკემბერი **№ 1659**

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე —5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი
„მ ო ა მ ბ ე“
(წელიწადი მეცხრე)
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
„	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
(წელიწადი მეშვიდე)
ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. — კ.
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50 „
1 „	75 „	1 „	1 „ 10 კ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება: საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და **კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი** № 372.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და ამუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—32)

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. გ. ფიოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. გ. ბარხუდოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 7—8 საათამდე.

ბ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე

გძელიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—2)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

წარსული წლების ჟურნალი

„მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებათ: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მანეთად; 1896, 1897, 1898 და 1899 წ.წ.—ხუთ-ხუთ მანეთად; ხოლო 1900 წ. «მოამბე» 1901 წ. ხელის მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. «მოამბის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала «Моамбе».

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 3 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად აქვს სულ 9 საქმე; სხვათა შორის, საბჭო განიხილავს მირზოევის ანდერძს, სარევიზიო კომისიის მოხსენებას გამგეობის 1899 წლის მოქმედების შესახებ და სხვ.

✦ „კავკაზ“-ის სიტყვით, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება მისცა თავ. ილია ჭავჭავაძეს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობა 6 თვით ალ. სარაჯიშვილს გადასცეს.

✦ კვირას, 2 დეკემბერს, საქართველოს ექსარხოსად ნამყოფს ხარკოვის არქიეპისკოპოსს ფლაბიანეს გამოეთხოვა ტფილისის საზოგადოება. დილის 8 საათზე თვით არქიეპისკოპოსმა ფლაბიანემ გორის ეპისკოპოსის კირიონისა და ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით გარდაიხადა წირვა. წირვის შემდეგ მცირე პარაკლისი გადაიხადა ეპისკოპოსმა კირიონმა, რომლის შემდეგაც არქიეპისკოპოსმა ფლაბიანემ მოკლე გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა წირვაზე დამსწრე ტფილისის საზოგადოების წარმომადგენელთა და ხალხს. წირვაზე იყვნენ ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულტან კრიმ-გირეი, ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი და სხვანი. წირვის შემდეგ სამღვდელოება შეიკრიბა საექსარხოსო სახლში, სადაც მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას კავკასიის სამისიონერო საზოგადოების სახელით მიართვა წარმომადგენელმა დიპლომი, რომლითაც იგი ამორჩეულ იქმნა ამ საზოგადოების საპატიო წევრად; ამიერ-კავკასიის საეპარქიო წმინდა ნინოს დედათა სასწავლებლის სახელით მღ. თოთიბაძემ მიართვა ადრესი და სოხუმის ეპისკოპოსისაგან დრანდის მონასტრის ერთმა სასულიერო პირმა ღვთისმშობლის ხატი. შემდეგ ფლაბიანე გამოეთხოვა სამღვდელოებასაც და საგანგებო ეტლით გაემგზავრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურზე, სადაც დიდ-ძალ ხალხს მოეყარა თავი; აქვე მოსულიყვნენ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის თავის მოადგილე და სხვ.; აგრეთვე მრავალი სამღვდელოება და ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელ-მოსწავლენი, რომელნიც ყოფილს ექსარხოსს მიეგებნენ სასულიერო შინაარსის გალობით. მცირე ხნის შემდეგ ხალხი და საზოგადოებათა წარმომადგენელნი გამოეთხოვნენ ფლაბიანეს, რომელიც უკვე დღის 12 საათზედ შებრძანდა განსაკუთრებულად მისთვის მომზადებულ რკინის გზის ვაგონში და ბაქო-ბალაჯარის რკინის გზით გაემგზავრა თვის ახალ სამწყსო ქ. ხარკოვში.

✦ შაბათს, 1 დეკემბერს, ქართულ სახალხო წარმოდგენათა სექციამ გამართა ხალხური **წარმოდგენა ავლაბარში.** სცენის მოყვარეებმა, ბ. სვიმონიძის რეჟისორობით, წარმოადგინეს სუნდუკიანცის „პეპო“. წარმოდგენის შემდეგ ქართულმა ხორომ შეასრულა ქართული სიმღერები. ხალხი წარმოდგენას ბევრი დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა როგორც წარმოდგენით, ისე საკონცერტო განყოფილებით.

✦ ბაქოდან იტყობინებიან, რომ 30 ნოემბერს სარატოვის გუბერნიის გლეხი კონსტანტინე პუგინი, რომელიც საბუნჩას შტოს მეორე ვერსზე ლიანდაგზე გადადიოდა მოპარულის კეროსინით, ჩავარდა მატარებლის № 34 ქვეშ, რის გამოც დაუშავდა თავი. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ სადგურ ხვალინსკიდან იტყობინებიან, რომ პირველ დეკემბერს 12 საათზე და 45 წამზე სახალხო მატარებლის № 6 ბარგის ვაგონი წინა თვლებით ლიანდაგიდან გადმოვარდა 758 ვერსზე და ასე მიათრევდნენ 768 ვერსამდის შპალებზე, შესასვლელ ისართან გააჩერა მატარებელი გზის დარაჯმა. ხალხი არავინ არ დაშავებულა. მიზეზი ვაგონის ჩამოვარდნისა არ იციან.

✦ ბაქოდან იტყობინებიან, რომ 29 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, დეპოს მუშამ მეხდი-ჰასან-ოღლიმ მუშაობის დროს ბანდაჟს ქვეშ მოაყოლა ფეხი, რის გამოც მარცხენა ფეხის ქუსლი დაიჟეჟა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

პროვინცია

ქუთაისი. ყოველ პატარა ქალაქს ეტყობა ჩვენში წინ სვლა, უმჯობესობა და ჩვენ ძველ სატახტო ქალაქ ქუთაისს კი ვერავითარ უკეთესობას ვერ ვამჩნევთ: წინაამდეგ, 20—30 წლის წინად აქ უფრო მეტი სიცოცხლე, სიკეთის ნიშანი სჩანდა, ვინემ ეხლა. მიუხედველად იმისა, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრი სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილი წევრები მოემატა ქუთაისის საზოგადოებას, აქაურ ცხოვრებას მაინც სასურველი ცვლილება არ ეტყობა. მართალია, ქალაქი ჯგუფ-ჯგუფად და დას-დასებად დაყოფილია, მაგრამ ვერავითარ ძალას ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოადგენს, რადგანაც მათი არსებობა მხოლოდ შემთხვევითია: ის არ არის რამე შეგნებული მოთხოვნილებისაგან გამოწვეული. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ვერავითარი ინტელიგენტური საერთო საქმე აქ ვერ ხეირობს: საზოგადო დაწესებულებებში აქაური უმრავლესობა საქმეს კი არ დაეძებს, საერთო ინტერესისათვის კი არ ზრუნავს, არამედ პირადი მტრობა, შური და უკმაყოფილება ამოძრავებს მას. მხოლოდ ამ გარემოების მიზეზით შეფერხდა და თითქმის დაღუპვის გზაზედ არის აქაური სააზნაურო ბანკის საქმე; ამ სასარგებლო დაწესებულების ძირის გამომთხრელი გმირები ჯერაც არ დაწყნარებულან, თითქოს მათი დანიშნულება იყოს ყოველი საერთო საქმის განადგურება, აოხრება. ამ ჯგუფის წევრთა საომარი სიმღერის სიტყვები ეს არის: «მეც წავხდი, შენც წაგახდინე, ქრისტე აღსდგა გიხაროდესთო». აქ ხმა გავრცელდა, რომ უკუღმართი მიმართულება-მოქმედებით ცნობილ პირებს ეხლა თავის ასაფეთქებელი ლაღუმები აქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წინაამდეგ მიუმართავთ: გრძელი «დოსიე» გამოუცხვიათ, ფინანსთა სამინისტროში გაუგზავნიათ და უთხოვიათ გამგეობის დანიშვნა,—სასაცილოა. რომ სამწუხარო არ იყოს ყოველივე ეს ჩვეულებრივი ქუთაისელი ამბავი! «სადაც გავიქეცი, იქით წავიქეცი»-ო, სწორედ ეს ემართება ქუთაისში რამე კეთილი მხარის მაძიებელ კაცს: სადაც უნდა მიაპყრო ყურადღება, ყოველგან უხალისობა-უიმედობა, მეტი არავითარი სინათლის შუქი არა სჩანს.

ქუთაისელი იერემია.

ს. ძველი-გავაზი (თელავის მაზრა). 15 გიორგობისთვეს ჩვენს სოფელს ეწვია კომისია, დანიშნული მთავარ-მართებლის განკარგულებით იმ საზღვრების და უთანხმოების გასარჩევად და განსახილველად, რომელიც ამ ბოლოს დროს მეტად გამწვავდა ს. ძველ-გავაზ-ზიკაანის საზოგადოების და აწყურ-კაპუტის საზოგადოების ლეკთა შორის. ამ უთანხმოების მიზეზი ქართველთა და ლეკთა შორის იმდენად საყურადღებოა, რომ მეტი არ იქნება მოკლეთ მაინც მოვიხსენიოთ იგი. ჯერ კიდევ შამილის დროს, როცა დაღისტნის არწივს შეეკვეცა ფრთები და შესუსტდა გავლენა დაღისტნის მკვიდრთა შორის, არა ერთი ლეკი სტოვებდა თავის სამშობლოს, ღალატობდა თავის სახელოვან გმირს და გადმოდიოდა კახეთში, სადაც რუსის ჯარის გზის მაჩვენებლად და მოყვნეთ რჩებოდა. ხშირად ეს ვაჟბატონები ღალატობდნენ ორთავე მხარეს და ორთავე მხრიდან იღებდნენ ჯილდოს. ამ გვარად ორას კომლამდის ლეკი ჩამოვიდა ს. გავაზის

ადგილში და სამ კუთხივ ჩასახლდა სანამ ს. ძველ-გავაზი მტერს იყო და ადგილ მამულის სიცოტავეს არა გრძნობდა, ლეკთა მეზობლობა არ იყო მისთვის შემაწუხარი, მაგრამ სოფელი მალე გაიზარდა მკვიდრთა რიცხვით, სახნავ-საძოვარი კი ისევ ის დარჩა, გაჭირდა ცხოვრება და ლეკთა ცხვარ-წინ ჩასახლება მეტად აუტანელი გახდა. ს. ძველ-გავაზის საზოგადოებამ მიმართა მთავრობას, აუწყა მას თავის შევიწროებული მდგომარეობა და სთხოვა როგორმე გაეუმჯობესებინა სოფლის მდგომარეობა. მთავრობამ მიაქცია ყურადღება მათ თხოვნას და 1867 წელს გამოგზავნა კომისია, რომელმაც შეათანხმა ერთმანეთს ქართველნი და ლეკნი და დაადგინა აქტი; ამ აქტით ლეკებს მიეცათ ნება მხოლოდ ცხვრის და სხვილ-ფეხა საქონლის ძოვებისა კორდონი გზის ზემოთ ადგილებში დაღესტნის მიჯნამდის, ამ მანძილზე ნება ჰქონდა ს. ძველ გავაზ-ჭიკაანსაც ეტრებინა თავის საქონელი. მაგრამ გავიდა დრო და ლეკებმა გადახვიეს კომისიის დადგენილებას—ისინი აღარ დაკმაყოფილდნენ მარტო საქონლის ძოვებას, დაიწყეს სახლების შენება, დაუწყეს ხვნა საერთო საძოვარ ადგილებს, გარდა ამისა აღუკრძალეს ქართველებს მათ საქონლის ძოვება საერთო საძოვარზე. ს. ძველ-გავაზის საზოგადოებამ ხელ-ახლა დაუწყო ხვეწნა და თხოვნა მთავრობას—ან ცალ მხარეს ერთ ადგილას დაასახლეთ ეს ლეკები, ან არა და, თუ შეუძლებელი იქმნება, სულ მთლად აღუკრძალოს ლეკებს დაღესტნიდან საზამთრო ადგილში ჩამოსვლა, რადგან მათ დაღესტანში ყველას თავისი საზამთრო ადგილი აქვს და მათი ზამთრობით ჩამოსვლა აქ მიზეზია მხოლოდ ქურდბაცაცობით, აყ-კაცობით თავის დარჩენისა. ამ თხოვნამ კვლავ გამოიწვია მეორე კომისია; კომისიამ, თელავის მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით დაჰყო აქ ოთხი დღე, ინახულა ყველა ის ადგილები, რომელზედაც მოსახლეობენ ლეკები და დაადგინა აქტი, რომლის შინაარსი ჯერ არ გამოცხადებია არც ერთ მხარეს. ს. ძველი-გავაზი დასახლებულია უმეტესად იმ გმირთაგან, რომელთა ახირებულმა გაუ-კაცობამ და თავის გაწირვამ სახელოვნად დააგვირგვინა სამოცი წლის უძნელესი ომი მთიელებთან. იმედია, მთავრობა მხედველობაში მიიღებს ამათ ღვაწლს სამშობლოსა და მთავრობას წინაშე და გააუმჯობესებს მათს შევიწროებულ მდგომარეობას.

მიხაკო.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და სოფელ «ხნოვ»-ში ახლად დაარსებულ სახალხო უფასო სამკითხველო ბიბლიოთეკას შემოსწირეს ქართულ-რუსული წიგნები და ჟურნალები. შემოსწირეს: ბ. შიო ელიაძემ—5 მ. და 9 კ.; ბ. ევტიხი მამინაიშვილმა—4 მ. და 16 კ.; ბ. ონისიმე ჭიკაძემ—3 მ. და 50 კ.; იოსებ იმედაშვილმა—2 მ. და 13 კ.; ნიკო კურდღელაშვილმა—2 მ.; ბ. ლადო ედილაშვილმა—1 მ. და 75 კ.; თამარა პაატაშვილმა—1 მ. და 50 კ.; ქეთო ზარაფიშვილმა 1 მ. და 50 კ.; ილია ზარაფიშვილმა—1 მ. და 10 კ.; შაქრო კიკნაძემ—1 მ.; ნიკო მარკოზაშვილმა—1 მ. და 50 კ.; ივანე კაკაბაძემ—1 მ.; მალუცა სირბილაძემ—1 მ.; კატო ახმეტელაშვილმა—80 კ.; ალექსანდრე შიუკაშვილმა—80 კ.; სოლო გოშაძემ—80 კ.; ანეტა ყიარაშვილმა—80 კ.; მარიამ ჩხიკვაძემ—65 კ.; სონა მეტრეველმა—30 კ.; ვარო თუმანიშვილმა—25 კ.; სიდამონიძემ—10 კ.; ლადო ედილაშვილმა—ათი ცალი «მოამბე» 1900 წ. მელქო აჯიმამუდოვმა ექვსი ცალი „ჯეჯილი“ 1900 წ.; თინათინა ბურჭულაძემ ხუთი ცალი „ჯეჯილი» 1896 წ.; ქეთო ზარაფიშვილმა ორი ცალი „ჯეჯილი“ 1901 წ.; და ბოლოს განსაკუთრებით მადლობას ვუძღვნით ყარსის სობოროს მოძღვარს მ. ალექსანდრე ვარდიაშვილს, რომელმაც დაუკვეთა ზემოხსენებულ სამკითხველოს მომავალ 1902 წ. მთელის წლით საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

დროებით გამგე სამკითხველოსი ერმალოზ სირბილაძე.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

1 დეკემბერი

პეტერბურგი. 1 დეკემბერს გატჩინოდან ბერლინში წავიდა, გერმანიის იმპერატორის მიწვევით ნადირობაზე დასასწრებლად ხელმწიფე მემკვიდრე დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.—გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომ 1902 წელს გამოუშვან სახელმწიფო ხაზინის ახალი რიგის ბილეთები ოც და-ათი მილიონი მანეთისა იმის სანაცვლოდ, რომელიც 1902 წ. უნდა გაუქმდეს.

ვარშავა. 30 ნოემბერს ოლქის სასამართლოში დაიწყო კორვინ პიატროვსკის საქმის გარჩევა. თავმჯდომარეა კოვალევსკი; ბრალსა სდებს ბრალმდებლის ამხანაგი ვორონოვი; იცავს ნაფიცი ვექილი კიენსკი. დიდძალი საზოგადოება ესწრება, საქმე, როგორც სჩანს, ორ დღემდე გასტანს.

რძით მოვაჭრე ნემცებმა წინადადება მისცეს ზოგიერთ სოფლის მრეწველებს, რომ გერმანიაში გაგზავნონ ხოლმე ერბო, ხაჭო და ყველი, და ამასთანავე თან გაატანონ საჭირო მაშინები მათ გასაკეთებლად; ახლა, რადგანაც რუსების წინააღმდეგ ამხედრდა სამრეწველო საქმეში გერმანია, მრეწველთ უარი განაცხადეს, გერმანიის ვაჭრებთან საქმე იქონიონ და მაშინებს უკანვე გზავნიან.

ეკატერინოსლავი. გუშინ ქარიშხლის დროს, რადგანაც ტელეგრაფის ბოძები წაიქცა, მავთულები ტრამვაის მავთულებს შეუერთდა; ელექტრონის ძალამ, მეტი ძალდატანების გამო, ტელეფონის სადგურებზე აპარატები დასწვა. სამი ცხენი, რომლებიც ტელეგრაფის ბოძმა წააქცია, ეხლა გამოჩნდა, რომ ელექტრონის ძალას დაუხოცია. ტელეფონის მოქმედების აღსადგენად ერთი თვეა საჭირო.

ხარკოვი. ნამქერის გამო შეჩერებული მოძრაობა კურსკო-ხარკოვო-სევასტოპოლის რკინის გზაზე გუშინდამ აღადგინეს.

მოსკოვი. 1 დეკემბერს გაიხსნა მორიგი სისია გუბერნიის საერობო კრებისა; წარმოდგენილია 32 მოხსენება ხარჯთ-აღრიცხვის კითხვების შესახებ. ახალი და სპეციალურის კითხვებისთვის მოწვეული იქნება არა ჩვეულებრივი კრება გაზაფხულზე. სლოვენთა საზოგადოება იანვარში მართავს დიდებულ სლავიანურ კონცერტს, რომელსაც მოამზადებს კომისია საფონოვის თავმჯდომარეობით.

ნოვგოროდი. საგუბერნიო საერობო კრება გახსნა გუბერნატორმა.

კიევი. 1 დეკემბერს ფაქტიურად გაიხსნა მიმოსვლა კიევო-პოლტავის რკინის გზაზე. სადგურზედ „რომოდან“ გადაიხადეს პარაკლისი ახალი გზის უფროსების თანადასწრებით.

ბერლინი. 39 ნარვის დრაგუნის პოლკის დეპუტაცია მოვიდა, რომელსაც დახვდა რუსეთის ელჩი და როტმისტრი ბარონი შენლიხი, რომელსაც მინდობილი აქვს დეპუტაციის ახლდეს.

პეტერბურგი. 1 დეკემბერს, სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში საბოლოოდ გადაწყდა საქმე მოსკოვის მდიდრის ერმაკოვის ანდერძის სინამდვილეზე. ერმაკოვმა ანდერძი დასტოვა, რომ იმისი ქონება, რომელიც ეხლა 3,300,000 მან. უდრის, დაურიგდეს საწყლებს და გაჭირვებულებს. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი მედინცევის ცოლისა, ასე რომ ერმაკოვის მილიონები ეხლა საზოგადო ქველ-მოქმედებას ეკუთვნის.

ბერლინი. პირველი წაკითხვა კანონ-პროექტისა სადამოჟნო ტარიფის შესახებ უფრო მალე გათავდა, ვიდრე მოელოდნენ. კანონ-პროექტი გარდაეცა კომისიას ერთის თვით. აჩქარებულმა გათავებამ ბაასისა ძალიან ხელი შეუწყო პროექტის მომხრეთ, რადგანაც იმ ცოტაოდენმა, რაც იყო წარმოთქმული რეიხსტაგში რუსეთის ფინანსთა მინისტრის ცნობების გამო, შთააგონა, რომ ძალიან სასიამოვნო სჯას არ გამოიწვევს აგრარიებისთვის. სოციალ-დემოკრატმა ზინგერმა ასე ილაპარაკა: „დიახ, იმპერიის კანცლერმა ჩემს საქციელს ულირსი უწოდოს, მაგრამ მე მაინც უნდა დავემყარო მინისტრ ვიტტეს ნათქვამს. ჩვენ აქედან ვხედავთ, რომ რუსეთსა სურს სავაჭრო ხელშეკრულებას მხარი შეუქციოს. იქ ძალას ატანენ, რომ არ შეიტანონ ჩვენი მაშინები, რკინა და რკინეული ნაწარმოები. რადგანაც რუსეთში ამ გვარი საქონელი ჩვენგან დიდ ძალა გააქვთ, ამისათვის ჩვენ გულგრილად ყურება არ შეგვიძლიან“. აგრარიების ცნობილი მეთაური გრაფი კანიცი შეეხო „ვესტნიკ ფინანსების“ სტატიას და მემარცხენეთ საშინელ სიცილში გულუბრყვილოდ წარმოსთქვა: «მე არ მესმის, რათ აძლევს რუსეთი ასეთ დიდ მნიშვნელობას ჩვენს გადასახადს პურზე, რომლის შესახებ პროექტშიაც ჩვენ ოდნავ აუწიეთ ფასს“. მინისტრმა გრაფ პოსადოვსკიმ, რომელმაც ვითომ სტატს-სეკრეტარ ვიტტეს საპასუხოდ ილაპარაკა, შენიშნა, რომ სამდურავი, რომელიც გამოთქმული იყო ტარიფის პროექტის გამო მთავრობისადმი, რომ მთავრობას ჯერ კიდევ არ შეუძლიან მომავალი სავაჭრო ხელშეკრულების საქმე სავსებით გაითვალისწინოსო, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ მომავლის იმედი არ არის. ეს საქმე ისე უნდა გვესმოდეს, რომ მთავრობა მეტად ფრთხილია და არ უამბობს ყველა გამვლელ-გამომვლელს, რასა ფიქრობს და რა აქვს სახეში. იმას, მინისტრს, მხოლოდ მაშინ დაებადება ეჭვი უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ, თუ რომ პარლამენტი ბაჟის მომატების პროექტს გასცილდება.

2 დეკემბერი.

კონსტანტინეპოლი. ხონთქარმა რუსეთის ელჩი აუდიენციაზე მიიღო; ელჩმა მადლობა გადაუხადა ხონთქარს საჩუქრისათვის, რომელიც ხონთქარმა უბოძა 50 წლის იუბილეის გამო, და იმის აღსანიშნავად, რომ ელჩი სცდილობდა რუსეთსა და ოსმალეთს შუა მეგობრობა გაეძლიერებინა.

რომი: პალატა. დეპუტატი გვიჩარდინი დაეკითხა მთავრობას საფრანგეთის პოლიტიკისა და ტრიპოლის ერის აღელვების შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა: ამას წინად საფრანგეთმა ხმელთა შუა ზღვაში დემონსტრაცია მოახდინა, მაგრამ ამას არავითარი ეჭვის დაბადება არ შეუძლია იტალიაში, აგრეთვე არ შეუძლიან შეარყიოს ნდობა ამ ორ მთავრობას შუა. იტალია მით უფრო უნდა ენდობოდეს საფრანგეთს, რომ საფრანგეთის მთავრობამ საჭიროდ ჩასთვალა ამას წინად შეეტყობინებია იტალიისთვის: ინგლისსა და საფრანგეთს შუა 1899 წ. 21 მარტს დადებულ პირობის ძალით საფრანგეთისათვის დანიშნულია აფრიკის ადგილების საზღვრები. ნამეტნავად ტრიპოლისისა, და საფრანგეთს განზრახვა არა აქვს შეჰკრას ის საქარავნო გზები, რომელიც ტრიპოლისიდან აფრიკის შუა გულში მიდის. მას აქეთ ორივე სახელმწიფო დამეგობრდნენ და დაიდგინეს, რომ მათ ერთნაირი ინტერესები აქვთ ხმელთა შუა ზღვაში.

ლონდონი. შანხაიდან „სტანდარდს“ ატყობინებენ: 7 ნოემბერს, ქვრივი დედოფლის დაბადების დღეს, ფარულმა საზოგადოებამ ცეცხლი წაუკიდა იმპერატორის სასახლეს კაიფენფუში.

კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: „ბრიუს გამილტონი, ვიდკრაუნს ახლო პიტ ვილპენის ბანაკს დაეცა; 16 ბური მოჰკლეს, 90 ტყვედ წამოიყვანეს და წაართქვეს ზარბაზანი, რომელიც წინად ბურებმა პოლკოვნიკ ბენსონს წაართვეს. მაკენზიმ, რომელიც გამილტონთან მოქმედებდა, 6 ბური დაატყვევა, ამათ შორის ფელდ-კორნეტები ბადენგორსტი და სვეინპული“.

ნიუ-იორკი. სანტიაგოდან იწერებიან: ბრაზილიამ შეუთვალა არგენტინასა და ჩილის—შუამავლობას გაგიწევთო. სანტიაგოდან ამბავი მოსულა ბუენოს აირესში: ჩილის გარეშე საქმეთა მინისტრმა არგენტინის ელჩს უმთავრესი პირობები გაუგზავნა და შეუთვალა—თუ ამას მიიღებთ, მაშინ შევთანხმდებითო. თუ არგენტინა ამ პირობებს არ მიიღებს, ჩილი ამ უარს იმის მომასწავებლად ჩასთვლის, რომ არგენტინის რესპუბლიკას ომი სურსო.

როსტოვი დონზე. დონი ძლიერ ადიდდა. მარცხენა მხარე 15 ვერსის მანძილზე სულ წალეკა, ზარალი დიდია.

ლონდონი. გამოცხადდა ლურჯი წიგნი, სადაც მოთავსებულია მიწერ-მოწერა უმაღლეს კომისარ მილნერსა და ჩემბერლენს შუა. ამ წიგნში დაწვრილებით აწერილია, რომ მთავრობას განზრახვა აქვს გამოქცეულ ბურთა და დიდ თავშესაფარ ბანაკთა რიცხვი შეამციროს და მაგიერად პატარები გამართოს. მილნერს იმედი აქვს, რომ ამ ღონისძიების მიღების შემდეგ ბანაკებში მყოფთა სიკვდილი შემცირდება, თუმცა, ყოველ შემთხვევაში, ამ ბანაკებში ხალხის სიკვდილი მაინც ბლომად იქნება; ეჭვი არაა, ხალხი რომ გახიზნულ ადგილებში დარჩენილიყო, მეტიც გასწყდებოდა; ბევრი თავის ნებით მოდიოდა ბანაკში; ვინც კიდევ გაიქცა, ისინიც ცოცხალ-მკვდრები ბანაკებში დაბრუნდნენ. ოქტომბრის განმავლობაში ბანაკებში სულ 3156 ბური მოკვდა, ნოემბერში 2807 და პირველ ივლისიდან ნოემბრამდე კი სულ 12441 კაცი მოკვდა; ამათგან 10113 ბავში. ბანაკებში იმყოფება 117,964 კაცი.

ვარშავა. გარდაიცვალა გზათა ოლქის უფროსი ტაინი სოვეტნიკი კასტენეცკი.

ლონდონი. ნაშუადღევს მეშიონ-ჰაუზში რუსეთის სოფლის მეურნეთა პატივსაცემლად საუზმე გამართეს, ლორდმერმა დიდის ამბით მიიღო სტუმრები. საუზმეს დაესწრო ინგლისის მიწად-მოქმედების წარმომადგენელიც. საუზმის შემდეგ ლორდ მერმა ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო წარმოსთქვა. მიესალმა დიდებულ რუსეთიდან მოსულ მეგობრებს და თქვა, აქ მყოფი ინგლისელები და რუსები ერთნაირად გულწრფელად სმენ რუსეთის მეფის სადღეგრძელოსო. დასასრულ სურვილი გამოსთქვა, რომ ძმური ურთიერთობა რუსეთსა და დიდ ბრიტანიას შუა ხანგრძლივი იყოს ორივე ერთა სასარგებლოდაო. ეს სადღეგრძელო ყველამ გულწრფელად მიიღო. შემდეგ ლორდ მერმა დალია სადღეგრძელო რუსებისა, რომლებიც აქ მოვიდნენ ვაჭრობის გასაფართოებლად და ინგლისელებთან მეგობრობის გასაძლიერებლად. ლორდ მერს უპასუხა რუსეთის მიწად მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელმა კრიუკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ რუსეთის უმთავრესი მუშტარი ინგლისიაო და ამიტომ ინგლისა და რუსეთს შუა პირდაპირი აღებ-მიცემობა უნდა სწარმოებდეს, რაც დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე სახელმწიფოსაო. ველესიცკიმ მადლობა შესწირა ლორდ მერს კარგი დახვედრისათვის. ლორ-მერმა უპასუხა იმედი მაქვს რუსეთი და ინგლისი ერთად იმოქმედებენ ცივილიზაციისა და ერთა საკეთილდღეოდო.

მოსკოვი. ერობის მოღვაწის საზონოვის სახსოვრად დააარსეს საქველ-მოქმედო ფონდი ერობის ავადმყოფ მოსამსახურეთათვის.

მოსკოვი. 1 დეკემბერს გამოვიდა ანგარიში მოსკოვის ნაფიც ვექილთა საბჭოსი. ნაფიცი ვექილი 517 ყოფილა, თანაშემწე 416. წლის განმავლობაში სულ 22 ნაფიცი ვექილი დასჯილა, 11 გაფრთხილება მიუციათ, 5 ის—შენიშვნა მიუციათ, 3 პრაქტიკა აუკრძალავთ, 2 ვექილი და ერთი თანაშემწე სულ გამოურიცხავთ.

პეტერბურგის ბირჟა 30 ნოემბერს
ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	96⅛ გაყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	246 გაყიდ.
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	81⅞ „
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი **ალ. ჟღენტი.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.